№ 28
კვირა, 4 თებერვალი, 1901 წ.

 გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10 —	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 28
კვირა, 4 თებერვალი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის" ტელეფონი № 227.

კვირას, 4 თებერვალს,

დარია ზაქარიას ასულის მირზოევის

გარდაცვალების წლის თავს მოლნინის წმ. გიორგის ეკლესიაში გარდახდილი იქმნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყობა 11 საათზედ, პანაშვიდი 12$^1/_2$ საათზედ.
(1—25—1)

ქართული თეატრი
კვირას, 4 თებერვალს, 1901 წ.
ბენეფისი
კ. ს. მესხისა
წარმოდგენილი იქმნება 3 მოქმედ. კომედია
მადამ-სან-ჟენ
ეფემია მესხის მონაწილეობით
და ერთ მოქმედებიანი კომედია
დედის ერთა
მ. საფაროვისა და ნ. გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი 8 საათზედ.
რეჟისორი ვ. გუნია

ახალი ამბავი

⁂ როგორც გაზეთი „Московскія Вѣдомости" იუწყება, უგანათლებულესს თავ. გრუზინსკებს განზრახვა თურმე აქვთ საქართველოს რუსეთთან შეერთების დღიდგან ასის წლის შესრულების სამახსოვროდ შესაფერი ეკლესია ააგონ მოსკოვში. „ეკლესიის პროექტის შემუშავება მოსკოვის ხუროთ-მოძღვარს ა. ო. გუნსტსა აქვს დავალებული. ეკლესია ქართულს გემოვნებაზედ იქმნება აშენებული წმ. ნინოს სახელზედ მიძინების მონასტერში, სადაც უგანათლებულეს თავ. გრუზინსკების რამდენიმე წინაპარია დასაფლავებული. ეკლესია 500 სულამდე ადამიანს დაიტევს და აქვე იქმნება გრუზინსკების საგვარეულო აკლდამა. ეკლესიის რამდენიმე სანიმუშო ნახატი და გეგმა ჯეროვანის მთავრობის წინაშე წარდგენილია და მუშაობასაც გაზაფხულზედ დაიწყებენო", სწერს გაზეთი.

⁂ როგორც შევიტყეთ, ფოთში არსდება „დრამატიულ ხელოვნების მოყვარულთა საზოგადოება". საზოგადოებას აზრადა აქვს შესაფერი შენობა მოიპოვოს წარმოდგენების გასამართავად.

⁂ როგორც ბაქოდგან გვატყობინებენ, 31 იანვარს გამართულს ჩვეულებრივს ქართულს საღამოს ხალხი ბლომად დაჰსწრებია და შემოსავალიც კარგი ჰქონიათ.

⁂ დღეს ქართულს თეატრში დანიშნულია არტისტის კ. მესხის საბენეფისოდ ცნობილი კომედია სარდუსი „მადამ სან-ჟენ", რომელშიაც კატრინის როლს შეასრულებს ეფემია მესხი, ხოლო ნაპოლეონ პირველის როლს—თვით მობენეფისე. ამ წარმოდგენაში მონაწილეობას იღებს მთელი დასი.

⁂ ქუთაისის გუბერნიის ქალაქებისა, დაბებისა და პოსადების უძრავ ქონებაზედ სახელმწიფო გარდასახადი ამა 1901 წელს გაწერილია სულ 63 ათასი მანეთი.

⁂ „კასპიის-შავის ზღვის ნავთისმწარმოებელ და სავაჭრო საზოგადოებას" 35 ათასი მანეთი შეუწირავს ბაქოში (თეთრ ქალაქში) გაჩენილ ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

⁂ შემდეგი მორიგი კრება ტფილისის ქალაქის საბჭოსი მოხდება ორშაბათს, 5 თებერვალს. ამ კრებაზედ საბჭო, სხვათა შორის, განიხილავს ავჭალის ცხენის რკინის-გზის პატრონთა განცხადებას ამ გზის უსახელო საზოგადოებისათვის გადაცემის შესახებ; იმ კომისიის მოხსენებას, რომელსაც გამსესხებელ კასსების რევიზია ჰქონდა მინდობილი და სხვა. ამავე კრებაზედ საბჭო აარჩევს დეპუტატებს მესამე საობლიგაციო სესხის ტირაჟის მოსახდენად.

⁂ ქუთაისის გუბერნიაში გზატკეცილებისა, საურმე გზებისა და ხიდების შესაკეთებლად და შესანახად გადადებულ იქმნა 55,484 მანეთი.

⁂ როგორც ქუთაისიდგან ადგილობრივ გაზეთებს ატყობინებენ, კანდიდატებად ქუთაისის ქალაქის მოურავის თანამდებობაზედ ასახელებენ აგრეთვე ნაფიც ვექილს დ. ვ. ხელთუფლიშვილსა და შავი ქვის მწარმოებელთა კრების საბჭოს თავმჯდომარეს გ. ფ. ზდანევიჩს.

⁂ „ცნობის ფურცელ"-ში ვკითხულობთ: „კავკაზ"-ის რედაქტორად ნამყოფს ბ-ნს მილიუტინს განუზრახავს გამოსცეს რუსულ ენაზე საუკეთესო ნაწარმოებნი ჩვენის ხელოვნურის ლიტერატურისა მე-XIX საუკუნეში. ამ აზრის განხორციელებისათვის უკვე შემდგარა კომიტეტი, რომელმაც უნდა აირჩიოს გადასათარგმნი ნაწარმოებები.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარიას გადაეცა 500 მანეთი ამ ოლქის სასწავლებლების ღარიბ მოსწავლეთათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

⁂ გაზეთ „კავკაზ"-ს პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ: „იმიერ-კასპიის ოლქი ჩამოეცალა საქართველოს ეპარქიას და თურქესტანის ეპარქიას მიეწერა".

„დანიშნულ იქმნენ: ტფილისის სახაზინო პალატის გამგე ვერეტენნიკოვი—ხარკოვის სახაზინო პალატის გამგედ; ეკატერინოსლავის სახაზინო პალატის გამგე მიხაილოვი—ტფილისის სახაზინო პალატის გამგედ; ტობოლის საგუბერნიო ბეითალი ზოლოტარევი—კავკასიის საბეითალო ნაწილის გამგის თანაშემწედ".

„გადაყვანილ იქმნა: ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგი ვრასკი—ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელის ამხანაგად".

⁂ 10 მარტს 50 წელიწადი სრულდება, რაც რუსეთის საგეოგრაფო

ფელეტონი

ორი ვედრება

I

ჩემს მამულზედ უკეთესი სად არი?
იგია თვით სამოთხისა სადარი,
მაგრამ ვაი, რომ მის ჰვრეტით ვერ ვტკბები,
უცხო-უცხო მხარეებში ვბერდები!
გულს მიწუხებს ამ უდაბნოთ ყურება,
მენატრება ჩემის ქვეყნის ბუნება,
მშვენიერი, ტურფა, უხვი, მდიდარი!..
სხვაგან ცოცხალს, მიჯობს ვიყო იქ მკვდარი!
ოჰ, განგებავ, მისმინე ეს ვედრება:
თუ სამშობლოს ხილვა აღარ მერგება,
მომკალ ბარემ, რაც ვიტანჯე, მაკმარე
და მკვდარს მაინც იქ მაღირსე სამარე!..

II

ჩემს სატრფოზედ უკეთესი ვინ არი?
იგია თვით ანგელოსი მღიმარი,
მაგრამ ვაი, რომ მის ჰვრეტით ვერ ვტკბები,
მის ალერსსა მოკლებული ვბერდები.
ვეღარ ვიტან მარტოობას საზარელს,
მსურს, მარადის გვერდით ვუჯდე საყვარელს,
მას ვუმზერდე, მესმოდეს ხმა მის ტკბილი...
ამ სიცოცხლეს მიჯობს მასთან სიკვდილი!
მაშ, განგებავ, მისმინე ეს ვედრება:
თუ სატრფოსი ხილვა აღარ მერგება,
მომკალ ბარემ, ტანჯვას გადამარჩინე
და მკვდარს მაინც ზედ მის ცრემლი მადინე!..

დუტუ მეგრელი

წკიპურტი

ქორწილების კვირიაკე.—საერთო მხიარულება და ჩემი მწუხარე ფიქრები.—ჩვენის გულგრილობის კიდევ ერთი უდროვო მსხვერპლი.—„მოქალაქე" და „თელაველის ქალის" პასუხი.—ვექილი მანდილოსან-კალმოსანი და „უზეირო, მაგრამ მაინც უმანკო" გართობა.—ბაქოს, თიანეთის, ზესტაფონისა და სამტრედიის წიგნთ-საცავები და იმათი ბედი.—მაშ რას აკეთებენ ჩვენი ქალები?!.

წარსული კვირა და, ვგონებ, მომავალიც, ქორწილების კვირიაკეა ჩვენს ტფილისში და დაბა-სოფლადაც. საცაა დიდმარხვდება და ჰიმენეის მოსავნი სჩქარობენ დაოჯახებას, საცოლქმრო უღლის კისრად გადებას. ყოველს ქუჩაზედ გაისმის „მრავალ-ჟამიერის" ხმა, ზურნის დამაყრუებელი ჰიჰყინი, მექორწილეთ გაჩაღებული აქვთ „ბზრიალას"*) ბანქობანა, „ჩვენი დედანი—მარად ნეტარნი" ჰორიკანაობით ირთობენ თავს, ყმაწვილნი ქალნი „უკაველრებენ" ერთმანეთს და „პადეკატრში" აქლასუნებენ ფეხებს, ან კიდევ ტანის ნაზადა და ნებიერად მიმორხევით უზუნდარას უვლიან...

თითოეულს ქორწილს ორასი და სამასი სული ესწრება, ოფლითა და შრომით მონაგარი ათ-ათ თუმნიანები იხარჯება უქმად, უარარაოდ. რა მინდაო?.. მე ქალი მომეწონა, მე—იმას მოვეწონე, შეკავშირება განვიზრახეთ, ერთმანეთს ხელს ვაძლევთ ამ ქვეყნიურ ეკალ-ნარით დაფენილ გზის განსავლელად და შემოკრბით, ჯარნო და ჯამაათნო, სჭამეთ, ჰსვით, ჩაღლიეთ ღვინო, ალკოჰოლით გადაირიენით, ერთმანეთს აგინეთ, ჰლანძღეთ, თუნდა ხანჯლებიც იშიშვლეთ და ურთიერთს სიცოცხლე მოუსწრაფეთ... ამისათვის ასი და ორასი თუმანი არა მშურსო, და აი, აქვე, შენდა უნებურად, გახსენდება ჟენევიდგან მოსული ამბავი:

> „ამ დღეებში აქ გარდაიცვალა 22—23 წლის ახალგაზდა ქართველი მოსწავლე თეიმურაზ გვათუა (ზუგდიდის მაზრელი). საბრალო აქეთ წამოსულიყო სწავლის შესაძენად და, თუმცა შევიწროებული იყო ნივთიერად, ხშირად აკლდა საჭმელ-სასმელი, ტანისამოსი და სხ., მაგრამ მისი მხნეობა მაინც ვერაფერმა ვერ შეასუსტა და ავადმყოფობამაც წიგნი ხელიდგან ვერ გააგდებინა... ბოლოს ჭლექი გამოაჩნდა და სულ რამდენსამე დღეში ბოლო მოუღო. მისის გარდაცვალების მიზეზი მარტო სიღარიბე იყო".

გახსენდება ეს გულის მომკვლელი და ცრემლის მომგვრელი სტრიქონები და ფიქრთა გროვა აგეშლება. რად არის ერთი ბედნიერი და მეორე ასე უნუგეშოდ დატოვებული და ბედისაგან განწირული?!. ნუ თუ არა სჯობდა, რომ მაგ მდიდარს ალაპებს, სამგლოვიარო ეტლების გვირგვინებით ავსებას, ქორწილებში ორას სამასის კაცის დრეობას,— ლხინისა და ჰირისუფალთ ცოტაოდენი წვლილი ამ ცხოვრების სიმკაცრებათან გამკლავებულ ყმაწვილ-კაცებისა და ქალებისათვის მიეწოდებინათ?!.

მართლაცა-და, ნუ თუ კარგი არ იქნებოდა, რომ, ამ მრავალ-სტუმრიან ქორწილების ნაცვლად, ათიოდე უსაჭიროესი მეგობარი მიგვეწვია, ჩვენი საოჯახო მეჯლისი და ლხინი გონება-ცნობიერად, ხადად გადაგვეხადნა და ის ასი და ორასი თუმანი, რომელიც ქარსა და წყალს გავატანეთ, თუნდა იმავე გაჭირვებულ სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოებისათვის მიგვეძლვნა ჩვენდა სასახელოდ და ქვეყნის სასარგებლოდ?!.. ეხლანდელი ქორწილი ქორწილია სტომაქისა, ლოთობა-ღრეობისა, ვაკხის სატრფიალო, და მაშინ-კი გული და სული ჩვენი კეთილშობილურს ლხინსა და სიამოვნებას მიეცემოდა, და მერე განა იმასაც დამტკიცება უნდა, რომ სულიერი კმაყოფილება კუჭის კმაყოფილებას რამდენისამე ფარდით სჯობს და აღემატება?!. ან განა ერთის უდროოდ წუთი სოფელს გამოსალმებულ გვათუასთანა ყმაწვილის კაცის გადარჩენა არა სჯობია თუნდა სამასის გაუჭირვებელ კაცის გაძღომას?!. რად არის ეს ქვეყანა ასე უცნაურად მოწყობილი, რომ აი, თუნდა ამ გაცვეთილ აზრის ჭეშმარიტებას ყველა ჰგრძნობს, სიტყვით, აზრთა გაზიარებით ყველა დაგეთანხმება, მაგრამ ამავე დროს, ჯერ საცოლეც არ მოუძებნია, ამ თავითვე ჰფიქრობს,—ერთი კარგი ქორწილი უნდა გავაჩაღო, მთელი ქვეყანა უნდა ვიწვიოო?!..

**

მექორწილეთა ზურნის ჰიჰყინზედ ამ უცაბედად აშლილ და აღბორგებულ ფიქრებში გართული დავფრატუნებდი, რომ უცბად მომესმა ნაზის ხმით თქმული:

— წაიკითხეთ გაზეთში „თელაველის ქალი"-ს პასუხი?!. მოხვდა თუ არა „მოქალაქეს"! და ფიქრთაგან გამომარკვია.

უკან მომდევდა ორი ახალგაზდა არსება—ქალ-ვაჟი. ამ სიტყვების მთქმელს ყმაწვილს ქალს წითელი კაბა ემოსა, შავის არშიებით ორივ მხარზედ გადაჯვარედინებული, და ლოყები ცხარე ლაპარაკისა თუ სიცივისაგან შესწითლებოდა. „მოქალაქის" ხსენებაზედ „კუმატივით" შავი, დიდრონი თვალები გაუბრწყინდა, გაუნათდა და ნაპერწკლებს აკვესებდა. მისის მომხიბლველის სილამაზე ახალგაზდობით გატაცებულს აქამდე აშლილ-აღბორგებული მწვავე ფიქრი გადამავიწყდა...

მართლაც-და, წაიკითხე, მკითხველო, „თელაველის ქალის" პასუ-

---

*) რუსები „вертушка"-ს ეძახიან.

საზოგადოების კავკასიის განყოფილება იქმნა დაარსებული. განყოფილებას აზრადა აქვს ამ დღეს 50 წლის იუბილეი იდღესასწაულოს.

⁂ მომავალ სასოფლო სამეურნეო გამოფენის გამმართავ კომიტეტის წევრებად რუსეთის საბაღოსნო საზოგადოების მხრივ, დანიშნულ იქმნენ ბ-ნნი სულთან-კრიმ-გირეი, სპეშნევი და ქუთათელაძე.

⁂ როგორც „ჩერნ. ვედომოსტი“ გადმოგვცემს, აზრადა აქვთ ბათუმის დედათა გიმნაზია, რომლის შენობაც ამას წინად დაიწვა, დროებით ვაჟთა გიმნაზიის შენობის ერთ ნაწილში მოათავსონ.

⁂ მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ განსვენებულმა ნ. ე. ზუბალაშვილმა დაუტოვა ქალაქს სახლი არსენალის ქუჩაზედ იმ პირობით-კი, რომ ამ სახლში გამართულ იქმნას თავშესაფარი ღარიბ ქრისტიანეთათვის. ანდერძის თანახმად ამ სახლში მიიღებენ მართლმადიდებლებს, რომის კათოლიკეებს და სომეხ-გრიგორიანებს. ანდერძითვე, იმ შემთხვევაში, თუ ქალაქი ვერ მიიღებს სახლს და თავშესაფარს ვერ გამართავს, უნდა გადასცეს ეს სახლი ტფილისის რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკკლესიასთან არსებულ „წმ. როზარიას ძმობას“. რადგანაც გამგეობას თავშესაფარი ჯერაც არ მოუწყვია, ამიტომ მიძინების ეკკლესიის წინამძღვარს მამა კალანჯევს მიუმართავს იმის შესატყობად, აპირებს თუ არა ქალაქი ამ სახლის მიღებას, ხოლო თუ აპირობს, როდის შეუდგება თავშესაფარის მოწყობასა და გამართვას. განცხადებაში მამა კალანჯევი ამბობს, რომ წინდაწინვე უნდა შევადგინოთ სია ამ თავშესაფარში დასაწვენ შეუძლებელ კათოლიკეთა, და ამიტომ საჭიროა ვიცოდეთ, როდისთვის იქმნება იგი მზადაო.

⁂ მთავრობამ შეიწყნარა ამიერ-კავკასიის დედათა ინსტიტუტის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ წელს ამ ინსტიტუტის 10 მოსწავლე ქალის შესანახად გადადებულ იქმნას 2700 მანეთი.

⁂ რუსეთის უმაღლესს მთავრობას განზრახვა თურმე აქვს. საზღვარზედ მცხოვრებთათვის არსებული წესები შესცვალოს და გაუადვილოს საზღვარზედ გადასვლა იმ შემთხვევაში, როდესაც საოჯახო ან სავაჭრო საქმე აიძულებთ რამდენისამე დღით საზღვარს გადვიდნენ.

⁂ აზრადა აქვთ ამიერ-კავკასიის დედათა ისტიტუტში ყველიერის დღესასწაულების დროს წარმოდგენა გამართონ. წარმოდგენაში მხოლოდ ინსტიტუტის მოსწავლე ქალნი მიიღებენ მონაწილეობას.

⁂ ამ ცოტა ხანში საერო განათლების სამინისტრო განიხილავს პროექტს ქალთათვის ბუჰალტერიის განსაკუთრებულ კურსების დაარსებისას.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნოემბრის ცირკულიარში, რომელიც ამ დღეებში გამოვიდა, დაბეჭდილია შემდეგი:

„Опредѣленіемъ Попечительскаго Совѣта, утвержденнымъ кн. Главноначальствующимъ гражданскою частью на Кавказѣ, постановлено: „составленныя Яковомъ Гогебашвили книги: „Русское Слово“, часть I, изданіе 7-ое и часть II, изд. 6-ое одобрить въ качествѣ руководствъ для грузинскихъ начальныхъ школъ“.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“ გადმოგვცემს, სომეხ-გრიგორიანთა კათალიკოსის განკარგულებით, ტფილისის სომხთა სასულიერო სემინარიის სამზრუნველო მარტში შეუდგება ახალ შენობის აგებას დასახელებულ სემინარიისათვის. ახალ შენობას ვანქის ტაძრის პირდაპირ საეკლესიო მიწაზედ აგებენ.

⁂ ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის გამგეობამ მოხელე გაჰგზავნა დუშეთში ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის სარევიზიოდ. მოხელე რამდენიმე დღეა, რაც შეუდგა რევიზიას.

⁂ როგორც „ტფ. ფურ.“ გადმოგვცემს, აზრადა აქვთ ტფილისის პოლიციელებს რევოლვერის სროლა ასწავლონ. იმათ, ვინც პოლიციაში შევა, გამოსცდიან, რამდენად კარგად იციან რევოლვერის სროლა.

⁂ დღეს, 4 თებერვალს, პირველ საათზედ, ქვაშვეთის წმიდის გიორგის ტაძარში მნათის ამორჩევა მოხდება. ამისათვის კრებული ხსენებულის ტაძრისა სთხოვს თავისს მრევლს, ინებონ და არჩევანში მონაწილეობა მიიღონ.

ისევ „შრომის“ შესახებ.

ჩვენს „მცირე შენიშვნას“, „ივერიის“ მე-21 №-ში მოთავსებულს, ბ-ნმა დ. ფურცელაძემ „ცნობის ფურცლის“ 2 თებერვლის №-ში პასუხი გასცა. ამ პასუხში იგი სწავს: „დურგალთა ამხანაგობის „შრომის“ წევრთა საზოგადო კრება

„ორჯერვე იმ აზრს დაადგა, რომ წესდება ყველა წევრებს, ვინც წესდების შემოღებამდის ამხანაგობის წევრად ითვლებოდა, ერთნაირ უფლებას აძლევს იმის მიუხედავად—სრულიად აქვს შემოტანილი წევრს თავისი საწევრო ფული 25 მანეთი, თუ ეს საწევრო ფული ჯერ კიდევ სრულიად არა აქვს შეტანილი ამხანაგობის კასსაში“...

„ახლა-კი ა. ახნაზაროვი და ს. ტარიელოვი აღარ ემორჩილებიან არავითარ კრების დადგენილებას და ყველას უკანონოთა სთვლიან, რადგან, საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, კრებაზე ყველა დამსწრე წევრები იღებენ მონაწილეობას... იმათ მხარეს გადავიდა ორი სხვა ამხანაგობის წევრი ინტელიგენტიაო“.

„აი, ესენი კრებას კრებად არა სთვლიან და გაიძახიან თავისას, თითქო მართლა იმათ მეტს საღი მსჯელობა აღარავის ჰქონდესო“, სწავს ბ-ნი დ. ფურცელაძე და სთხოვს, კრებას დაესწრნენ ჩვენის საზოგადოების გავლენიანნი პირნი(?), რომლებისაც მოწინააღმდეგე წევრებს (ე. ი. ა. ახნაზაროვს, ს. ტარიელოვს და კიდევ ორს ინტელიგენტს) ან მორიდება ექმნებათ, ან იმისი შიში, რომ ეს დამსწრენი იმათ სიტყვასა და მოქმედებას საქვეყნოთ გამოამჟღავნებენო“.

აი, მთელი ჩივილი და მოწოდება „საღის მსჯელობის“ მქონე ადამიანისა. მე ჩემს წინანდელს წერილში ვამტკიცებდი, ახლაც ვამტკიცებ და კვლავ განვაცხადე „შრომის“ წევრთა კრებაზედ, რომ ახალის, უკვე შემოღებულის, წესდებით, უფლება საზოგადო კრებაზედ მონაწილეობისა და კენჭის ხმარებისა მხოლოდ იმასა აქვს, ვისაც ამხანაგობაში შესასვლელი საწევრო ფული 25 მ. სრულადა აქვს გარდახდილი *). ყველანი ჩემნი წინააღმდეგნი იყვნენ, ს. ტარიელოვის გარდა, მათ შორის ბ-ნნი დ. ფურცელაძე, ქურდიანი, ნ. ბერიშვილი და ყველა ისინი, რომელთაც 25 მან. საწევრო ფული გარდახდილი არა ჰქონდათ და უფლება ეძლეოდათ. მერე კვირისათვის ბ-ნნი ქურდიანი და ბერიშვილი, არ ენდნენ რა ჩემს სიტყვებს, წავიდნენ და შეეკითხნენ რამდენსამე იურისტს და საზოგადოდ ამ საქმის მცოდნეთ, ვგონებ მათ შორის ბ-ნს გ. საყვარელიძესა და სამეურნეო ბანკის დირექტორს თავ. ვ. ს. მიქელაძესაც, და ყველგან ერთი და იგივე პასუხი მიეღოთ: წესდებით წევრია მხოლოდ ის, ვისაც 25 მან. გარდახდილი აქვსო. აი, ასეთის პასუხის გამო ეს „ორი ინტელიგენტი წევრი“ ჩემს ანუ ჩვენს მხარეს გადმოვიდა და აუხსნეს კიდეც საზოგადო კრებაზედ წევრთ (ბ-ნმა ქურდიანმა): ბევრსა ვკითხეთ, ა. ახნაზაროვი მართალი აღმოჩნდა და წესდებას ჩვენ ვერ დავარღვევთო. მარტო ბ-ნი დ. ფურცელაძე გაიძახოდა, როგორც ეხლაც გაიძახის „ცნობის ფურცელში“: „საღი მსჯელობა მეც მაქვს, მე სხვათა აზრი არაფრად მიმაჩნია და სწორედ ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობაო“.

აი, ასეთის „საღის მსჯელობის“ შემდეგ მე განვაცხადე: რაკი კრება და აგრეთვე მისი დადგენილება, რომ ყველამ მიიღოს მონაწილეობაო, უკანონოდ მიმაჩნია და წესდების დამარღვეველად, ამიტომ უკანონო დადგენილებას არ დავემორჩილები-მეთქი. ბ-ნმა დ. ფურცელაძემ უნდა იცოდეს, რომ არც ერთი ხელქვეითი ვალდებული არ არის თავისის უფროსის უკანონო ბრძანებას დაემორჩილოს და არც ჩვენ, აწინდელი გამგეობა, დავემორჩილებით ამ კრების დადგენილებას, რომელიც ჩვენ კანონიერად არ მიგვაჩნია.

ეხლა-კი ბ-ნი დ. ფურცელაძე „ჩვენის საზოგადოების გავლენიან პირთ“

---

*) „კვალის“ უკანასკნელს მე-5 №-ში ვიღაც ახლად მოვლენილი იურისტი განგვიმარტებს, რომ „შრომის“, წესდების მე-15 პარაგრაფის ძალით და საზოგადო კრების ნება-დართვით, „წევრად შეიძლება იყოს ისეთიც, რომელსაც სრული პაი არა აქვს შესრულებული, და რაკი ის წევრია, ცხადია, არჩევის უფლებაც აქვსო“. ამ ვაჟბატონს ვურჩევთ, ჯერ წესდება წაიკითხოს და მერე თავისი განმარტება ისე მოგვაწოდოს. მე-15 §-ი შეეხება წევრად შესასვლელ ფულის ნაწილ-ნაწილად შეტანას, საზოგადო კრების დადგენილების თანახმად, ხოლო ეს კიდევ იმას არა ჰნიშნავს, რომ ვინც, ოცდა-ხუთ მანეთის ნაცვლად, ათ მაურს წარადგენს, იმას ახლავე სრული უფლება ეძლეოდეს. ამ §-ით, უფლების მოსაპოვებელ გარდასახადის შეტანა უადვილდება ახლად შემსვლელს წევრობის მდომელს, ხოლო წევრად, ნამდვილ წევრად იგი მაშინ იქმნება აღიარებული, როდესაც „ერთ ხანად შესატანს საწევრო 25 მან.“, აწ მისთვის გაშელავათებულს, შეასრულებს და შეამთავრებს. კარგი იქნება, რომ თვით „კვალის“ „შინაური მიმომხილველი“ ამას გაითვალისწინებდეს და უკანონო განმარტებით ხალხს გონებას არ უბნევდეს!..

შენიშვნა ავტ.

ხი?!. მე გაგახსენებ. პირველს დეკემბერს „ივერიაში“ „მოქალაქემ“, აღნიშნა რა თელავის ათასი ჭირვარამი, სხვათა შორის, თელაველ ქალებს ფუქსავატობა უკიჟინა: არაფერს აკეთებენ, მხოლოდ ლოტოს თამაშობით ირთობენ თავსაო, და დიდად სასაცილოდ და მოხდენილადაცა ჰქონდა აწერილი თელაველ ქალთა ბაასი ლოტოს თამაშობის დროს.

ეს კიჟინი და საყვედური თელაველს ქალებს გრძნობით აღსავსე კაკალს გულში მოხვდათ და მძიმედ დაიკოდნენ. შეექმნათ ერთი აურზაური, ერთს სალოტოოდ შეყრილს კრებაზედ მანდილოსან-კალმოსანი ვექილი ამოირჩიეს და დაავალეს ჯეროვანად სუსხიანის „აპელაციის“ დაწერა. აი, ეს ვექილი გახლავთ სწორედ ის „თელაველი ქალი“, რომელმაც თავისის კალმის ნაწარმოები „ცნობის ფურცლის“ ახალ წლის ნომერში მოათავსა. მერე რას ჰბრძანებს ეს ჩვენი, უკაცრაოდ, თელაველ მანდილოსან-ლოტოსანთა ვექილი თავისის მშვენიერის ბაგენით „მოქალაქის“ ნათქვამის უარ-საყოფელად? აი რას:

„რაც შეეხება ლოტოს თამაშობას, თამაშობდნენ ახლანდელი ქალების ბებიები, თამაშობენ დედები და მათი ქალიშვილები. ეს არც საქებია და არც თითზე დასახვევი საძრახავი. უკეთესი საშუალების უქონლობის გამო, ეს უხეირო, მაგრამ მაინც უმანკო საშუალებაა ხმარებული ქალთა უმრავლესობის თავის მოყრისათვის, იმ მანდილოსანთა, რომელნიც... ლოტოს მიზეზით ერთმანერთს ჰხვდებიან ლოტოს თამაშობაში (?) და ისე მუსაიფში ჰპოვებენ შრომის შემდეგ შესვენებას...“

ამ „ობოლს მარგალიტში“ რამდენიც სიტყვაა, იმდენს წინა-უკმოობასა და განსაცვიფრებელს დასკვნას წააწყდებით. როდესაც ამოვიკითხე თელაველ ქალის ვექილის სიტყვები: „თამაშობდნენ ეხლანდელ ქალების ბებიები, თამაშობენ დედები და მათი ქალიშვილებიო“, უნებურად ვიფიქრე: ერიჰაა, როგორც ეტყობა, თელაველ ქალებს შთამომავლობითა და მოდგმით ჰქონიათ სისხლში შერთული ლოტოს სიყვარული-მეთქი! მოისმინეთ და გულის-ხმა ჰყავით: თამაშობდნენ ბებიები და ეხლა-კი დედები, ე. ი. ამ ბებიების შვილები, და ამ დედების ქალიშვილები და იმ ბებიების შვილიშვილები თამაშობენ; მერე, შემდეგში, ამ პაწია ქალიშვილების შთამომავლობა ითამაშებს, რადგან ეს ქალიშვილები ოდესმე ბებიებად გარდაიქცევიან და ამ თავისს ნიჭს თავისს შვილებსა და შვილიშვილებსაც გადასცემენ. წავა და წავა ასე მეორედ მოსვლამდე!..

არც ხოლერა, არც შავი ჭირი, არც ათასი სხვა მავნე სნეულება არ არის აგრე შვილიშვილამდე გამყოლი და მემკვიდრეობით ძვალსა და რბილში გამჯდომი, როგორც თელაველ ქალებს ლოტოს სენი შეჰყრიათ. გამოიცვლება ქვეყანა: ჯოჯოხეთის ნაცვლად სამოთხე დამყარდება, თელავი ევროპის საუკეთესო ქალაქებს დაემსგავსება, ალაზანიც-კი უკუღმა იბრუნებს პირს და თელაველი ქალი და ლოტო მაინც ერთმანეთს არ განშორდებიან... თელაველს დედას ანდერძის დატოვებაც არა სჭირია, მისი აწინდელი ქალიშვილი და მერმისის დედა უამანდერძოდაც უეჭველად, უსიკვდილოდ ლოტოს ითამაშებს და თავისს ქალიშვილსაც ათამაშებს... განა რომ კარგი ნუგეშია!..

მაგრამ ან რა ჰქმნან თელაველმა ქალებმა, „უკეთესის საშუალების უქონლობის გამო ეს უხეირო, მაგრამ მაინც უმანკო (მოისმინეთ, მოისმინეთ!) საშუალებაა ხმარებული ქალთა უმრავლესობის ერთად თავის მოყრისათვისაო“, ჰბრძანებს გულისწყრომით აღტყინებული ქალი-ქალთა ვექილი. გაიგონეთ: „უხეირო, მაგრამ მაინც უმანკოო“? საბრალო თელაველს ქალებს სახეირო უმანკოებისათვის ვერ მიუგნიათ, რომ თავი მოიყარონ და „შეისვენონ“!.. სწორედ გვებრალება ის ქალთა თუ კაცთა კრებული, რომელსაც, ლოტოს მეტი, „უკეთესი საშუალება“ ვერ მოუძებნ-მოუპოვებია თავ-მოსაყრელად!..

• •

სწორედ აბა ასეთ „უხეირო, მაგრამ მაინც უმანკო“ საშუალებათა ბრალი უნდა იყოს, რომ ბაქოს ქართული წიგნთ-საცავი სულსა ჰლაფავს, თუ არ დაულაფნია კიდეც, და რომ სამტრედიაში იგივ წიგნთ-საცავი მოთავსებულია ერთ ჭერს ქვეშ წიგნთ-სავაჭროსთანა და წიგნების ყდათა გამკეთებელთან და პაწია დუქნის 1/10-დი უჭირავს, მაგიდასთან ჩამოსაჯდომი ალაგიც არა აქვს...

უეჭველია, იგივე ან იმ გვარივე „უხეირო, მაგრამ მაინც უმანკო საშუალება“ იქნება მიზეზი, რომ თიანეთის საზოგადოებამ გადასწყვიტა უფასო სახალხო სამკითხველო და წიგნთ-საცავი „დაჰხუროს“, მისი ქონება საჯაროდ გაჰყიდოს და ნაცვლად კლუბი დააარსოს: იგივ „უხეირო, მაგრამ მაინც უმანკო“ საშუალება ჰყოფდა იძულებულს ყვირილის უფასო წიგნთ-საცავ სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრებას: „დ. ზესტაფონის განათებისა და გასუფთავების საქმე ავიღოთ იჯარით სამკითხველოს სასარგებლოდაო“...

წაიკითხეთ, სხვათა შორის, ეს ამბები, თელაველნო დედანო, და დასტკბით: არც თქვენი ბაქოელი, სამტრედიელი, თიანეთელი და ზესტაფონელი დანი ჩამოგრჩენიან უკან... ხომ ჰხედავთ: ბაქოში წიგნთ-საცავ-სამკითხველო სულსა ჰლევს, სამტრედიაში—მუშტის ოდენად მოკუნტულა და სულის მოსაბრუნებელი ადგილი აღარ მოეპოვება, ზესტაფონის წიგნთ-საცავმა ქუჩები ტალახისა და ნაგვისაგან უნდა გაასუფთაოს და იმითი ისულდგმულოს, თიანეთში-კი წიგნთ-საცავი გაუქმდება და დაარსდება კლუბი, სადაც თქვენნი დანი, რასაკვირველია, „უხეირო, მაგრამ მაინც უმანკო“ ლოტოსაც ითამაშებენ!..

• •

მაგრამ ნუ თუ მართლა დასაჯერებელია, რომ ბაქოს, თელავის, ზესტაფონის, თიანეთის, სამტრედიისა და ჩვენის სამშობლოს სხვა დაბა-ქალაქების ქალები მარტო ლოტოთი ირთობდნენ თავს და „უკეთესი საშუალება“ აღარა ჰქონდეთ ერთად თავ მოყრისა, ერთად შეკრებისა?!. ამას ამბობს და გვაფიქრებინებს თელაველი კალმოსანი-ქალი, მაგრამ არა გვჯერა. იმედია, ჩვენის ქვეყნის ქალები თვითვე უარ-ჰყოფენ ამ ქალისავე ცილის-წამებას და სამართლიანის გულის-წყრომით მოიწერებიან „თელაველის ქალის“ საპასუხო წერილს. თითონ მეც, ჩიორა, სიამოვნებით დავუთმობდი ჩემს წკიპურტში ქალების ასეთს წერილებს ადგილს... კი, მაგრამ ეს როგორ არის, რომ ხეირიანი წიგნთ-საცავ-სამკითხველო ვერა ჰხეირობს და „უხეირო და უმანკო“(?) ლოტო-კი განცხრომაშია?!.

მაშ რას აკეთებენ ჩვენი ქალები, რომელნიც, მამაკაცებთან შედარებით, რასაკვირველია, უფრო მოცლილნი და თავისუფალნი არიან?!. ნუ თუ, ლოტოს თამაშობისა და კლუბებში ცეკვის გარდა, სხვას არაფერს?!. მაგრამ ამის პასუხს, იმედია, თვით ქალებივე მოგვცემენ, მკითხველო, ვადროვოთ მომავალ კვირამდე და ყოველ მათ მიერ მოწერილს წერილს სიამოვნებით გაგიზიარებ.

აბა, ქალებო, თქვენ იცით!..

ჩიორა

იწვევს ჩვენდა დასამორჩილებლად. ახირებული მოწოდება, თუ გნებავთ, ეს არის!..გკითხოთ ერთი, თუნდა რომ მობრძანდნენ კიდეც ეს „გავლენიანნი პირნი“ და, წარმოვიდგინოთ ძნელად წარმოსადგენი, უკანონობა დაგვავალონ, ჩვენ უნდა ჩავიდინოთ ეს უკანონობა?!. ნუ თუ ამას ჩასჩურჩულებს ბ.ნს დ. ფურცელაძეს მისი„სადი მსჯელობა“?... ან არა-წევრთა მობრძანება და ბრძანება ჩვენთვის, აწინდელ გამგეობისათვის, სავალდებულოა?!.. აბა „სხვის მონასტერში საკუთარის წესდებით შესვლაც“ ამას ჰქვიან!..

„კრებამ ორჯელ დაადგინაო“, ჰბრძანებს ბ.ნი დ.ფურცელაძე. სად არის ეს დადგენილება და რომელმა კრებამ დაადგინა? არა-წევრნი შეიყარნენ, თავისი თავი სრულ უფლებიან წევრებად აღიარეს, წესდების წინააღმდეგ, და ჩვენ გვიბრძანებენ: დაემორჩილენით ჩვენს დადგენილებასაო. აგრე ქუჩიდგანაც შემოვა ხალხი და დაადგენს: „შრომის“ ამხანაგობა მოისპოსო, და ნუ თუ ჩვენ უნდა დავემორჩილნეთ?! თუ ეს ,,სადი მსჯელობაა“, არ ვიცით, არა-სადი და სნეული მსჯელობა რომელი-და იქნება...

დამშვიდდეს ბ-ნი დ. ფურცელაძე: ,,შრომის‘‘ გამგეობამ უკვე გადასწყვიტა მოიწვიოს ნამდვილ წევრთა კრება, ე. ი. იმათი, რომელთაც სრული საწევრო ფული აქვთ გარდახდილი, და იმას მოახსენოს ყოველი გარდასაწყვეტი საგანი. ვისაც 25 მან. სრულად გარდახდილი არა აქვს, შეუძლიანთ ეს ფული მანამდე შეავსონ და უფლება წევრობისა მოიპოვონ, გამგეობა მადლობელიც იქნება, რადგან ამითი ამხანაგობის თანხა იმატებს. მანამდე კი არა-წევრთა კრების დადგენილებას, თუნდა ბ-ნ დ. ფურცელაძის თავმჯდომარეობით შეკრებილსაც, გამგეობა ვერ დაექვემდებარება, რადგან რაც უკანონოა, ის არავისათვის სავალდებულო არ არის და, რასაკვირველია, არც „შრომის“ გამგეობისათვის იქნება სავალდებულო. დასასრულ ვურჩევთ ბ-ნს დ. ფურცელაძეს, მარტოოდენ თავისს ,,სადს მსჯელობას‘‘ ნუ დაენდობა და, თუ თვით არ იცის, მცოდნეთ ჰკითხოს, რადგან შეიძლება ადამიანს ,,სადი მსჯელობა‘‘ ჰქონდეს, მაგრამ ამა თუ იმ საგანში-კი სცდებოდეს.

გამგეობის თავმჯდომარე
ა. ახნაზაროვი

ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ლონდონში სცხოვრობდა ერთი მდიდარი ვაჭარი, რომელიც საოცრადა ჰგავნდა ინგლისის ეხლანდელ მეფეს ედუარდ VII-ს. ამ ჟამად ეს ვაჭარი საგიჟეთშია; სწორედ ამ მსგავსებამ ამოაყოფინა თავი ვაჭარს საგიჟეთში: ვაჭარს თავიდგან არა ჰშორდებოდა პრინცი უელსი, მუდამ იმაზედ ფიქრსა და ზრუნვაში იყო და ბოლოს ისიც წარმოიდგინა, რომ ნამდვილი პრინცი უელსისა მე ვარ, ხოლო იმან, ვისაც ამ სახელს ეძახიან, ძალად მიითვისა პრინცობაო. ერთხელ სულით-ავადმყოფი ვაჭარი სანდრინგემის სასახლეში მივიდა. სასახლის დარაჯებსა და კარის-კაცებს იგი პრინცი ეგონათ და არამც თუ შეუშვეს სასახლეში, დიდის მოწიწებით ქუდებიც მოუხადეს. მხოლოდ კამერდინერმა გაიოცა, როდესაც მომავალი კაცი დაინახა, ისიც იმიტომ, რომ ის იყო პრინცის ოთახიდგან გამოსულიყო, სადაც პრინცს ელაპარაკებოდა; გაუკვირდა, პრინცი ეხლა ოთახში იყო და მეორე მხრიდგან როგორ მოდისო. იმავე წუთს კაბინეტის კარები გაიღო და პრინცი გამოვიდა. სულით-ავადმყოფი მაშინვე გაქანებულა პრინცის მოსაკლავად, მაგრამ ამ დროს კამერდინერს უტაცნია ხელი ვაჭრისათვის და შეუყენებია. შემდეგ საავადმყოფოში წაუყვანიათ.

პრინცსავე ჰგავდა თურმე საოცრად ერთი ჯარის-კაცი, რომელიც წინად კალკუტაში მსახურებდა ინდოეთის ჯარში. როდესაც პრინცმა ინდოეთი მოიარა, ეს ჯარის-კაცი იმ რაზმში იყო, რომელიც პრინცს ახლდა. პრინცმა, რასაკვირველია, ყურადღება მიაქცია და გამოჰკითხა ვინაობა. აღმოჩნდა, რომ როგორც ეს კაცი, ისე იმისი მამა ინდოეთში დაბადებულან. პაპა-კი ჰანოვერში მექანიკოსად ყოფილა. ეს პაპა ყოველთვის ეუბნებოდა თურმე ნაცნობებს, რომ ინგლისის მეფის გეორგ II-ს ნათესავი ვარო, თუმცა დამტკიცებით-კი ვერ ამტკიცებდა თავისს ნათქვამს. როდესაც პრინცს ეს ამბავი გაუგია, უთქვამს, „ასეთი მსგავსება ამართლებს პაპის სიტყვებსაო“. ამ ჟამად ეს კაცი პრინცის სახელობის რაზმის უფროსია. როგორც აფიცრები, ისე ჯარის-კაცები ამ პოლკოვნიკს „ცრუ პრინცს“ ეძახიან.

* * *

ევროპის 39 გვირგვინოსანთაგანს 20 არა ჰყავს პირდაპირი მემკვიდრე. ამათგან 7 ძალიან მოხუცებულია, ასე რომ შვილი აღარ ეყოლებათ. კერძოდ გერმანიის 21 მეფესა და მთავარს შორის თერთმეტს არა ჰყავს პირდაპირი მემკვიდრე, სახელდობრ მეფეებს: საქსონიისა, ბავარიისა და ვირტემბერგისა; დიდ ჰერცოგებს: საქსენ-ვეიმარისა, მეკლენბურგ-შვერინისა, გესსენისა, საქსენ-ალტენბურგისა, საქსენ-კობურგისა, შვარცბურგ-რუდოლშტადტისა და შვარცბურგ-ზონდერსჰაუზენისას. დანარჩენ 19 გვირგვინოსანთაგანს შვიდს თითო შვილი ჰყავს, სამს—ორ-ორი, 4—სამ-სამი, ერთს—ოთხი, 3—ხუთ-ხუთი და დასასრულ გერმანიის იმპერატორს ექვსი შვილი ჰყავს. იმათში, ვისაც მემკვიდრე არა ჰყავს, სიკვდილის შემდეგ ტახტი გადაეცემა ექვს შემთხვევაში ძმებს, სამს შემთხვევაში—ბიძებს, ორს შემთხვევაში—ძმის წულებს, სამს შემთხვევაში— შორეულ ნათესავებს და 4 შემთხვევაში—სხვა საგვარეულო შტოს. ევროპის გვირგვინოსანთ სუყველას ერთად 50 ვაჟი ჰყავთ და 37 ქალი.

* * *

უცნაური რეკლამები და განცხადებები სცოდნიათ ინგლისსა და ამერიკაში. ინგლისის სადგურებში, მაგალითად, ხშირად დაინახავთ იატაკზედ რკინის გზის ბილეთსა, ზოგს „პირველი კლასი“ აწერია, ზოგს ,,მეორე კლასი‘‘. მგზავრი, რასაკვირველია, იფიქრებს, დაუკარგავს ვისმესაო, და ხელს დაავლებს; მაგრამ როდესაც აიღებს, ზედ უეჭველად რამე რეკლამას წაიკითხავს წვრილის ასოებით დაბეჭდილს: ან აქა და აქ კარგი თამბაქო იყიდება, ან ტანისამოსი და ან სხვა რამეო. პირველი და მეორე კლასი მხოლოდ მოსატყუებლად აწერია, რომ მგზავრმა აიღოს. ამერიკის ერთ პატარა თეატრში, სწორედ იმ დროს, როდესაც ფარდასა სწევენ ზევით, ერთ-ერთ ლოჟიდგან მოისმის ყვირილი: „აქა და აქ მშვენიერი კაპლები იყიდება; არტისტები სულ ამ კაპლებსა ყიდულობენო“, ან სხვა ამგვარი რამე. ლონდონის ერთ ქუჩაში ამას წინად თვალი მოუკრავთ დინჯად მიმავალ კარეტისათვის. ქუჩაში მოსიარულეთ კარეტის ფანჯრიდგან დაუნახავთ შიგნით გაწოლილი ფერმიხდილი და ძალზედ დასისხლიანებული კაცი. უფიქრიათ, უბედურება რამეაო, და მისცვივნიან კარეტას. როდესაც დიდძალი ბრბო შეკრებილა, „დაჭრილი“ კაცი გადმომხტარა კარეტიდგან და მოჰყოლია ხმა-მაღლა ამ სიტყვებს: „დღეს ამა და ამ თეატრში სამაგალითო წარმოდგენაა. წარმოადგენენ ახალ პიესას“ და სხვა.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 თებერვალი

პეტერბურგი. 1 თებერვალს ინგლისიდგან დაბრუნდა ხელმწიფე მემკვიდრე და დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე.

კაპშტადტი. რადგანაც სამხრეთ-აფრიკაში სახადი ძალიან მძვინვარებს, ქალაქის თვითმართველობათ სთხოვეს მთავრობას, რომ სასანიტარო ზომების მიღების უფლება მიეცეთ. ბურთა სამშვიდობო კომისიის მეთაური პიტ დევეტი, რომელიც ამ ჟამად კაპშტადტშია, სცდილობს დაიყოლიოს აფრიკანდერთა კავშირი და პირდაპირ გამოაცხადებინოს, რომ კავშირისაგან ბურები ნურავითარ შემწეობას ნუ მოელიან. კაპის ახალშენში ბურთა შესევისა და იქ წინააღმდეგობის გაწევის მთავარ მიზეზად დევეტი იმ სიტყვებსა სთვლის, რომლებიც კორჩესტერში წარმოსთქვეს აფრიკანდერთა კონგრესზედ. ამ სიტყვებმა დაარწმუნეს ბურები, რომ ჰოლანდიელნი შეუერთდებიან მათ, თუმცა ჰოლანდიელნი დღემდე არ შეერთებიან.

პრეტორია. ვენდერსდორპიდგან ნაუპორტში მიმავალმა პოლკოვნიკმა ბაბინგტონმა ტყვედ წაიყვანა ბურთა მცირე რაზმი. ბურები მხნედ იბრძოდნენ და მხოლოდ მაშინ დაჰმორჩილდნენ მტერს, როდესაც მრავალი მეომარი მოუკლეს და დაუჭრეს.— ლეიდენბურგის ინგლისელ მეციხოვნეებს წარსულ კვირაში თავს დაეცნენ ბურები, მაგრამ საქმე სერიოზულ ბრძოლამდე არ მისულა. ბურები ყუმბარებს ისროდნენ ერთის ზარბაზნიდგან, რომელიც ქალაქის მახლობლად გორაზედ დადგეს. თოფებსაც ისროდნენ იქიდგან, მაგრამ სიშორისა გამო უნაყოფოდ.

მადრიდი. შემოღებულ იქმნა სამხედრო დროის წეს-რიგი, მართვა-გამგეობა სამხედრო კაცებს გარდაეცა.—ვალენსიასა და მალაგაში დიდი არეულობანი მოხდა.

კაპშტადტი. ბურების რაზმები გუშინ ფილიპსტოუნის ოლქში მდინარე ორანჟეს გადავიდნენ; ხმა დადის, რომ ამ რაზმებს დევეტი უფროსობსო.

კონსტანტინეპოლი. როდესაც რუსეთის ელჩი უკანასკნელად სულთანთან იყო, ორმავე მხარემ საჭიროდ სცნო გააგებინონ მაკედონიის კომიტეტის მეთაურებს, რომ ამ კომიტეტის ხრიკებს ვერ მოითმენს ვერც ოსმალეთი, ვერც რუსეთი და ვერც რომელიმე სხვა სახელმწიფო. ამასთან ოსმალეთი, სასტიკად მოექცევა რა კომიტეტს, ნებას არ მისცემს, რომ უდანაშაულო მცხოვრებნი სტანჯონ და უმიზეზოდ ხალხი დააპატიმრონ. ამ აზრის ბრძანება მიეცა მაკედონიის მოხელეებს. რაც შეეხება ეპისკოპოსის ფირმილიანის ხელდასხმას, საჭიროდ დაინახეს ასეთი ხელდასხმა კომიტეტის მუქარის მიუხედავად.

2 თებერვალი

ლონდონი. პარლამენტი უფრო დიდებულად იქმნა გახსნილი, ვიდრე ეს განსვენებულის დედოფლის ვიქტორიას ტახტზედ ასვლის დროს მოხდა. სეფე-სიტყვაში, რომელიც პარლამენტის გახსნის დროს წაიკითხა მეფემ, აღნიშნული იყო ჯერ ის საერო მწუხარება, რომელიც მისის ძვირფასისა და საყვარელის დედის გარდაცვალებამ გამოიწვია, დედის-დედოფლის, რომელიც მთელს ქვეყანას მაგალითს აძლევდა, თუ მონარქი როგორი უნდა იყოს. მეფემ მხურვალე სურვილი განაცხადა, რომ იგიც დედის გზაზედ გაივლის. შემდეგ ნათქვამი იყო: „საყოველთაო და პირადად ჩემის საკუთარ მწუხარების დროს თამამად შემძლიან ვაუწყო პარლამენტს, რომ ყველა სახელმწიფოებთან მეგობრული დამოკიდებულება გვაქვს. სამხრეთს აფრიკაში ომი ჯერ კიდევ სრულებით გათავებული არ არის, მაგრამ მტრის სატახტო ქალაქები და უმთავრესი მისავალი გზები ჩემ ხელთ არის. ყოველივე ღონისძიებაა ნახმარი, და მჯერა კიდეც მტკიცედ, რომ ჩემი ჯარები ნამდვილს წინააღმდეგობას გაუწევენ მათ, რომლებიც ჯერ კიდევ გვეურჩებიან, გვეწინააღმდეგებიან. დიდადა ვწუხვარ, რომ სამხრეთ-აფრიკის ორთავ რესპუბლიკის მიწა-წყალზედ ბურებთან ბრძოლას ამოდენა ხალხი და ფული ვამსხვერპლეთ. იმათსავე სასარგებლოდ დიდად სასურველია, რომ რაც შეიძლება მალე დავიმორჩილოთ იგინი, რადგანაც იმ დრომდე შეუძლებელია ამ ახალშენებში შემოღებულ იქმნას ისეთი დაწესებულებანი, რომელნიც ადგილობრივ მცხოვრებს თეთრ-კანიანებსა თუ მკვიდრთ ერთნაირ უფლებათ მიანიჭებენ, მათ შორის სიმართლეს დაამყარებენ. მოკავშირეთა ჯარების მიერ პეკინის აღება და საელჩოებში მომწყვდეულთა მშვიდობიანად განთავისუფლებაც ისეთი გამეორებაა, რომელშიაც ჩემმა ინდოეთის ჯარმა და საზღვაო ჯარმა დიდი მონაწილეობა მიიღო. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ ჩინეთის მთავრობა სახელმწიფოთა მიერ წარდგენილ მოთხოვნილებათ დაემორჩილა; მოლაპარაკება იმის შესახებ, თუ სახელმწიფოთა მიერ წარდგენილი პირობები ჩინეთმა როგორ უნდა შეასრულოს, ჯერ კიდევ არ გათავებულა“. მოიგონა მეფემ, რომ ავსტრალიაში შეერთებული შტატები იქმნა დაარსებული და აგრეთვე ის, რომ ჰერცოგი კორნუელისა პარლამენტის გასახსნელად ავსტრალიაში წავა. მეფემ გარდასწყვიტა ჰერცოგმა ახალს ზელანდიასა და კანადაშიაც იმოგზაუროს. მეფე თავისს კმაყოფილებას აცხადებს იმის გამო, რომ კანადიდგანა და ავსტრალიიდგან ესე სწრაფად მისცეს პასუხი, რომ სამხრეთ-აფრიკაში გასაგზავნად ახალი ჯარი გამოეგზავნათ. შემდეგ სეფე-სიტყვაში მოხსენებულია, რომ აშანტიების აჯანყება მოსპობილი იქმნა. მოხსენებულია აგრეთვე, რომ გვალვისა გამო ინდოეთში გამოწვეული გაჭირვება და სიკვდილობა თავისს დროზედ მოსულმა წვიმებმა ცოტა არ იყოს შეამცირა; ამასთანავე გამოთქმულია სინანული, რომ ბომბეის საპრეზიდენტოში დღემდის დიდი უბედურებაა ხალხის თავზედა, რის მოსასპობადაც ყოველივე ღონისძიებაა მიღებული. ამ წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტში ყველაზედ მეტად საზრუნავი ის იყო, რომ მხედრობისა და ფლოტის საჭიროებისათვის ხარჯი შემცირებული ყოფილიყო, განსაკუთრებით კი სამხრეთ-აფრიკის ომისათვის საჭირო ხარჯმა გვაიძულა ახალი სესხი გამოგვეთხოვნა. მეფობის გამოცვლამაც თავისს მხრივ მოითხოვა სამეფო სახლობისათვის საჭირო ხარჯის ზრუნვა. საზოგადოებათა პალატასვე უტოვებს მეფე იმ სამკვიდრო შემოსავალს, რომელიც განსვენებულმა დედოფალმა გადასცა. დასასრულ სეფე-სიტყვაში ნათქვამია, რომ საშინაო პოლიტიკაში სხვა ღონისძიებათა შორის განზრახულია ჯარების რიცხვს მოემატოს.

2 თებერვალი

პეტერბურგი. შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა, სამის დღით შეჩერებულ იქმნას გაზეთის „Новости Дня“-ს გამოცემა.

კაპშტადტი. ადგილობრივმა მთავრობამა და მოხელეებმა ამბავი მიიღეს, რომ ქრისტიანე დევეტი და პრეზიდენტი შტეინი კაპის ახალშენში შევიდნენ და ფილიპსტოუნი აიღესო. გუშინ მათ ინგლისის ჯარი დაეცა. ინგლისელებმა ბურები ქალაქიდგან განდევნეს.

კაპშტადტი. თოთხმეტი კაცი გახდა ავად შავის ჭირით.

რომი. როგორც ჰფიქრობენ, კაბინეტის წევრებად იქმნებიან: ცანარდელლი — მინისტრ-პრეზიდენტად, ჯიოლიტტი—შინაგან საქმეთა მინისტრად, პრინეტტი —გარეშე საქმეთა,—კოკკა-ორტუ—სჯულის საქმეთა,ვილლემბერგი—ფინანსთა, დიბრობლიო—ხაზინისა, პონცა დი-სანმარტინო—სამხედრო, მორინი—საზღვაო, კუნციო-ნაზი—საერო განათლებისა, ჯუსსო—საზოგადო სამუშავოებისა, პიკარდი—მეურნეობისა და გალლიბერტი — ფოსტათა მინისტრად.

პეკინი. იმპერატორმა სთხოვა ელჩებს დასთანხმდნენ იმაზედ, რომ დამნაშავე ჩინელმა მოხელეებმა თვით მოიკლან თავი. როდესაც სამმა მოხელემ განაცხადა, არ დავემორჩილებით მაგ გადაწყვეტილებასაო, იმპერატორმა თხოვნა უკანვე დაიბრუნა. ამის შემდეგ იმპერატორმა დეპეშით აცნობა ცინს, რომ როდესაც სამეფო ოჯახმა ნოტის პირობანი შეიწყნარა, იქ მხოლოდ ერთ სასჯელსა თხოულობდნენ, რომელიც მოხელეთა მიერ ჩადენილ დანაშაულობას შეესაბამება. თუ უმთავრესი დამნაშავენი სიკვდილის დასჯის ღირსნი არიან, სხვებს მაინც სხვა სასჯელი უნდა გარდახდეთო. ელჩებმა მიუგეს, რომ ნაკლებ დამნაშავენიც სიკვდილის ღირსნი არიან და უნდა დაისაჯნენ, რადგანაც ამაზედ უფრო სასტიკი სასჯელი არ არსებობსო.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. სპიკერმა განაცხადა, რომ უცხო ქვეყნების პარლამენტებისაგან მივიღეთ სამძიმარის დეპეშები და სამადლობელი პასუხიც გავუგზავნეთო. ფორსტერი იცავდა ადრესის პროექტს, ამასთან ფოსტერმა აღნიშნა ის, თუ რაოდენი მწუხარება გამოიწვია დედოფლის გარდაცვალებამ. ორატორმა განაგრძო: „თუნდაც რომ გერმანიასა და ინგლისს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდეს, ინგლისი მაინც ადვილად ვერ დაივიწყებს იმ მონაწილეობას, რომელიც გერმანიის იმპერატორმა ჩვენს საერო მწუხარებაში მიიღო. იმპერატორი პოლიტიკურის აზრით კი არ მოიქცა ასე, და ინგლისი ამის გამო ნაკლებ არ აფასებს თანაგრძნობას იმპერატორისას. ინგლისი მალე ვერ დაივიწყებს ამას“. მერე ორატორი, ხოლო იმის შემდეგ აგნიუ, შეეხო სამხრეთ-აფრიკის ომის განგრძობის საქმეს. ამ სიტყვების წარმოთქმის დროს ირლანდიელთ ოხუნჯობა დაიწყეს, სიცილით მოიწონეს წინადადება, სამაგიეროდ დევეტის სახელის ხსენებას ხმამაღლის თანაგრძნობის გამოცხადებით მიეგებნენ.

ბუდაპეშტი. დღეს ზემლინში არც ერთი მგზავრი არ მოსულა სერბიიდგან. ხმა დადის, პოლიცია არ

უშვებს იმათ, ვინც ვენგრიაში მიდის.

ვენა. საღამოს $10^1/_2$ საათზედ, პანაშვიდის შემდეგ, მილანის გვამი წაასვენეს სერბიელთა ეკკლესიაში. გზაზედ ჯარი იყო გამწკრივებული. კუბოს მისდევდნენ: სერბიის ელჩი, ხრისტიჩი, საელჩოს წევრნი, მეფე ალექსანდრეს ადიუტანტი, რამდენიმე სერბიის მინისტრად ნამყოფი და ავსტრიის იმპერატორის კარის მოხელენი. მთელს გზაზედ აუარებელი ხალხი იდგა.

პეკინი. სხვა სახელმწიფოებსავით ავსტრო-უნგრეთის მთავრობაც იძენს ტიანძინში მამულს, რომ იქ თავისი საელჩო იყოლიოს ავსტრიის ქვეშევრდომთა და მათ საქმეთადასაცველად. ავსტო-უნგრეთის პეკინელ ელჩის მოწერილობით ჯარმა ავსტო-უნგრეთის სახელით დაიჭირა მიწა ნაჭერი იმპერატორის არხზედ. ეს ამბავი ავსტრო-უნგრეთის საზღვაო ჯარის უფროსმა დაუყოვნებლივ წერილით აცნობა ელჩებს. ამ მიწის ყიდვისა თუ იჯარით აღების შესახებ ჩინეთთან მოლაპარაკებაა დაწყებული.

პარიჟი. ვალდეკ-რუსსო ღამე შეწუხებული იყო, რადგანაც აციებს. საშიშო არაფერია.

პარიჟი. სენატმა მიიღო 1901 წლის ბიუჯეტი ზოგიერთის ცვლილებით, ამიტომ ბიუჯეტი ხელ-ახლა პალატას უნდა დაუბრუნდეს.

მადრიდი. ქორწინება ასტურიის პრინცესისა და პრინცის კაზერტისა მოხდა სამეფო სასახლის ეკკლესიაში; პრინცს ესპანიის აფიცრის ტანისამოსი ეცვა. საზოგადო დაწესებულებათა შენობები დროშებით იყო შემკული.

ლონდონი. ლორდთა პალატა. ადრესის განხილვის დროს კიმბერლეიმ სთქვა, რომ სამხრეთ აფრიკაში მთავრობის უმთავრესს საზრუნავს ის შეადგენს, რომ მტერს ძალა გამოაცალოს წინააღმდეგობის გაწევისა. მე მრწამს,—განაგრძო კიმბერლეიმ,—რომ მთავრობამ გადასწყვიტა შეუდგეს სამხედრო სისტემის ძირითადად გამოკვლევასაო. სალისბიურიმ მიუგო, უსამართლობა იქმნება ვიფიქროთ ის, ვითომ ომის გაჭიანურება რაღაც არაჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენს: იქ, სადაც პარტიზანული ომია, წინააღმდეგობის გაწევა ყოველთვის მოსახერხებელიაო. ორატორმა აღნიშნა მსგავსება სამხრეთ აფრიკისა და ამერიკის პარტიზანულ ომებისა. ამერიკაშიაც ომის სასურველად დამთავრებას ოთხი წელიწადი მოუნდა. სამხრეთი აფრიკა ისეთი კუთხეა, სადაც ბრძოლა ძნელია და სადაც ადვილია წინააღმდეგობის გაწევა. კიდევ მრავალი თვე გაივლის იმ დრომდე, ვიდრე საქმე სავსებით მორიგდება. მტერს რომ მცირეოდენი დამოუკიდებლობა მაინც შერჩეს, ომს დასასრული არ ეღირსება. ყველასათვის ნათელია, იმ ოლქებში რა გრძნობით არის ხალხი გამსჭვალული. თუ ინგლისელები შემდეგშიაც ბატონები და გამარჯვებულნი დარჩებიან, მშვიდობიანობის დამყარების იმედი არ იქმნება, ვინაიდგან მტერი შერჩენილ ძალას, თუ ინგლისელებმა ეს ძალა შეანარჩუნეს, ახალშეიარაღებასა და თავს დასხმას მოანდომებსო. ინგლისის მიერ საქმეზედ ხელის აღება და არ გამარჯვება ჰნიშნავს გარეშეთა თავს დასასხმელად სახელმწიფოს საზღვრებისა და მთლად ახალშენების გახსნას. მთავრობის პოლიტიკის არ თანამგრძნობთ, რომელნიც უაზრო წინააღმდეგობასა სწევენ და ბურების განუხორციელებელ იმედებს ფრთებს ასხამენ, რამდენიმე ბრალი მიუძღვით დღევანდელ სისხლის ღვრაში. დასასრულ პალატამ მიიღო ადრესი.

3 იანვარი

პეტერბურგი. დიდი ჰერცოგი ჰესსენისა ასულითურთ საზღვარ გარეთიდგან 2 თებერვალს მოვიდა პეტერბურგს.

ბაქო. ნავთის მწარმოებელთა წარმომადგენლებისა და მოხელეთაგან შემდგარმა კომიტეტმა თეთრს ქალაქში მომხდარ უბედურობის შესახებ თავისი გამოკვლევანი გამოაქვეყნა: 31 იანვრამდე დამწვარად ჩაწერილები არიან 11 კაცი და 7 ბავშვი, 7 დამწვრისაგან მკვდარი და 109 დამწვარი ავადმყოფი, რომელთაც ახლა სწამლობენ; სულ 11 სახლი დაიწვა; მუშებმა და ხელოსნებმა დამწვარს ქონებაზედ 105,000 მანეთის ზარალი განაცხადეს, მეწვრიმალეებმა და სახლის პატრონებმა 154,000 მანეთის ზარალი განაცხადეს; ვინც-კი 150 მანეთამდე ზარალს აცხადებს, ყველას უზღავენ; ვინც ზარალს ინაზღაურებს, სამშობლოში მიდის; 60 კაცისაგან შემდგარი ერთი დასი უკვე გაგზავნილ იქმნა. დამწვარ შენობებს ჯერ კიდოვა სთხრიან. დამწვარ შენობებში მოქცეულია „კოჩეგრების“ ბინა, წყლის საზიდი განყოფილება, კასპიის შავი ზღვის საზოგადოების სკოლა და „ატლასის“ ქარხნის საშრომი ფარდულები.

ლონდონი. კონსერვატიული გაზეთები სეფე სიტყვას სასურველად მარტავენ; „Daily News“, პირიქით, ამბობს, რომ სიტყვა სუსტია, შთაბეჭდილებას არ ახდენს და არ აკმაყოფილებს.

იოჰანნესბურგი. სამშაბათს, საღამოთი, ბურების ძლიერმა რაზმმა წყლის მილის დაქცევა სცადა, მაგრამ სასტიკის ბრძოლის შემდეგ უკან დაიხია.

კაპშტადტი. ბურები ფილიპპსტოუნს თავს დაესხნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ.

ლონდონი. კიტჩენერი იუწყება: „ფილიპპსტოუნიდგან ჩრდილოეთით მდგომი ჩვენი ჯარი დევეტის ჯარს შეებრძოლა. დევეტი ზანდრიფტთან ორანჟეს მდინარეს გავიდა და ცრერჩისაკენ წავიდა დასავლეთით, რომელიც ერმელოდგან 25 მილის მანძილზედ იმყოფება სამხრეთ-დასავლეთით. იუწყებიან, რომ მტრის ძლიერი რაზმი პიტრეტიფისაკენ იქმნა დაწეული; რაზმმა ჯარი ვერ გაარღვია“.

მადრიდი. გრანადასა, ალიკანტესა და ბარკლონაში არეულობაა. გრაფის ნაზერტის ოჯახობა საფრანგეთში წავიდა.

კაპშტადტი. დევეტის უფროსობით სამის დღის წინად რამდენსამე რაზმად გაყოფილი ბურები ზანდრიფტთან ორანჟეს მდინარეს გადვიდნენ; ჰერცოგის რაზმი დასავლეთ მხარეს მიდის წინ კენგარდისაკენ, ხოლო კრიტცენგერისა და შეპერის უფროსობის ქვეშ ახალშენის შუაგულ მყოფი რაზმები დასავლეთისაკენ წავიდნენ. პირველმა მურრეისბურგი დაიჭირა; როგორც ფიქრობენ, ესენი დევეტთან შეერთებას ესწრაფებიან.

შანჰაი. გერმანიის მთავარ-კონსულმა გერმანიის საელჩოს მიერ პეკინში დაჭერილ მიწების საზღვრები გამოაცხადა და დასძინა, რომ ნემეცების მოთხოვნილებანი მიწების შესახებ ამ საზღვრებში 12 თებერვლამდე უნდა იქმნეს განცხადებულიო.

ლონდონი. „რეიტერის სააგენტო“ იუწყება, რომ იორკის ჰერცოგი საშიშად არ არის ავადაო.

სოფია. მაკედონიის კომიტეტის მოქმედების შესახებ რუსეთის ელჩის ზინოვიევის მიერ სულთანის წინაშე წარდგენილმა განცხადებამ ძლიერი გავლენა იქონია.

ვაშინგტონი. შეერთებულს შტატებში შეტანილს შაქარს თითო ცენტრენზედ 0,692 დოლლარი გარდასახადი მოემატება.

პეკინი. გამოქვეყნებულ იქმნა იმპერატორის ბრძანება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ჩინეთის ცხოვრებაში ცვლილებათა შეტანა საჭიროა. იმპერატორი მიჰმართავს მეფის მოადგილეებსა და გუბერნატორებს, რომ ამათ ორის თვის განმავლობაში გარდასახადთა გაწერვისა, ქვეყნის მფარველობისა და საერო განათლების შესახებ პროექტები წარადგინონ.

სტანდერტონი. ვაალსა და გრეილინგშტადტს შუა ბურებმა საქონლის მატარებელი ააფეთქეს. საომრად შეიარაღებულ მატარებლიდგან, რომელიც საქონლისას უკან მისდევდა, ტყვია დაუშინეს. ორი ბური მოკლულ იქმნა.

კაპშტადტი. სმიტ დირრიენმა ამსტერდამი დაიჭირა.

კოლსბერგი. ბურები ზინდრიფტთან ორანჟეს მდინარეზ გადავიდნენ და ფილიპპსტოუნისაკენ დიდი სიმაგრე დაიჭირეს. საახალშენო ჯარის 200 კაცს ოთხშაბათს ბურების 1,500 კაცთან ბრძოლა მოუხდა; ახალშენის ჯარმა თავი იქამდის შეიმაგრა, სანამ პლუმერის უფროსობით ავსტრალიის ჯარი მიეშველებოდა. მტერმა ჯერ მძიმე-მძიმედ დაიწია უკან, მერე-კი აღმოსავლეთისაკენ უკუ იქცა; პლიუმერი უკან მისდევს.

კრადოკი. აქედგან 10 მილის მანძილზედ გუშინ ინგლისელებს 70 ცხენი წაართვა.

ბერლინი. ჩინეთის საქმეების შესახებ მესამეჯერ წაკითხული მოხსენება რეისტაგმა მიიღო. ბებელმა (სოციალისტია) კვალად ომისა წინააღმდეგ და მისთა საშუალებათა წინააღმდეგ ილაპარაკა. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ ბებელის მიერ მოყვანილი ცნობები უსაფუძვლოა.

პორტ ელისაბეთი. როგორც კერძო წერილებით იუწყებიან, ედინბურგის მახლობლად ბურებს ოთხი მატარებელი აუფეთქებიათ; ბოლო დროს საომრად შეიარაღებულ ინგლისელთა მატარებლიდგან 12 ბური მოუკლავთ.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა მინისტრთან შეთანხმებით დაადგინა ფინანსთა მინისტრმა, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატების სამრეწველო ნაწარმოებს მომატებული გარდასახადი დაედოს; აღნიშნული გარდაწყვეტილება განცხადებიდგან სამის კვირის შემდეგ უნდა იქმნეს შესრულებული.

ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო ახლად დაბეჭდილი წიგნი „იაკობ გოგებაშვილი“, შედგენილი ზ. ჭ. გვ. 56. წიგნი დაბეჭდილია სუფთად და ღირს 15 კაპ. პირველ თავში მოკლედ აღწერილია მიმოხილვა ძველის საუკუნის ქართულ სასწავლო მწიგნობრობისა და სახელმძღვანელო წიგნების ბეჭდვისა. ცნობებიდგანა სჩანს, რომ პირველად ქართული ანბანი რომში დაუბეჭდიათ ქართველ პატრებს 1629 წ., მეორედ 1639 წ., მესამედ 1743 წ., მეოთხედ 1778 წ., მეხუთედ 1795 წ. ტფილისში პირველად დაბეჭდილა 1710 წ., მეორედ 1713 წ. და მეშვიდეთ 1780 წ. რუსეთში, მოსკოვს, პირველად დაბეჭდილა 1750 წ., მეორედ 1760 წ. და მესამედ კრემენჩუგს 1793 წ. XIX საუკუნეში, პირველად ქართული ანბანი ტფილისში 1801 წ. დაიბეჭდა.

წერილი რედაქციის მიმართ.

უგულითადესს მადლობასს ვუცხადებ პატივცემულს ქ-ნს ქეთევან პავლეს ასულს ხაფთასისას, რომელმაც კეთილ ინება და ოზურგეთის უფასო სამკითხველოს 1901 წლისათვის ჟურნალი „მოგზაური“ გამოუწერა.

ოზურგეთის უფასო წიგნთ-საცავ-სამკითხველოს გამგე ევტიხი სალუქვაძე

სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატის პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში გასახილველად დანიშნულია შემდეგი საქმეები:

6 თებერვალს

ელიზბარ სამსონის ძის წერეთლისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

რომანოზ გაბუნიასი, რომელსაც ნაცხადეულად ფულების მოტაცება ბრალდება.

იოსებ გიორგის ძის წალკაშვილისა—კაცის მოკვლა ედება ბრალად.

ივანე ხვთისიაშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-313 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ედება ბრალად.

8 თებერვალს

პავლე კალაძისა—კაცის მოკვლის განზრახვა ბრალდება.

დავით მიქელაძისა, რომელსაც კაცის მოკვლის განზრახვა ედება ბრალად.

ბიჭია მიქელაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე-1707 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

ილიკო ჯინჭარაძისა—კაცის ჭრილობით დაშავება ბრალდება.

ბასო კვარაცხელიასი, კაცის მოკვლა ბრალდება.

ფარნა ქიქილიეშვილისა, რომელსაც სასჯელთა დებულების მე 1657 მუხლში აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

სპირიდონ ფხაკაძისა, რომელსაც სასჯელთა დებულების 1 ნაწილი მე-1456 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

ბექან დავითაშვილისა, რომელსაც სასჯ. დებ. მე-1412 მუხ. აღნიშნული დანაშაულობის ჩადენა ბრალდება.

◆

განცხადებანი

ქ-ნი პენკლევსკისა
აძლევს გაკვეთილებს
კონცერტის ციტრაზე.
მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, სამ საათიდგან 5 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 102.
(6—26—1).

მხატვარი
პ. ზოგატირევი
კისრულობს დროზედ შეასრულოს ყოველგვარი შეკვეთა **ხატებისა, სახეების გადაღებისა** და „**ვივესკების**“ დაწერვისა. ასწავლის აგრეთვე ხატვას. ადრესი: ვერის დაღმართი, მებურნუთოვის სახლი, ყორღანოვის ქუჩის კუთხე. (1—27—1).

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს ტფილისის წყლის მილის აბონენტების საყურადღებოდ, რომ ამიერიდგან მათ აღარ დაეგზავნებათ ის განსაკუთრებული უწყებები, რომლებშიაც აღნიშნულია ვადა წყლის სარგებლობისათვის გარდასახად ფულის შეტანისა. ამის ნაცვლად გამგეობა აბონენტებს გაუგზავნის ანგარიშის ქაღალდს, რომლის მეორე გვერდზედაც დაბეჭდილი იქმნება წესები წყლით სარგებლობისა. ამ წესების ძალით აბონენტი ვალდებულია შეიტანოს ხოლმე ქალაქის კასსაში ფული ანგარიშის მიღებიდგან **15 დღის განმავლობაში**, ხოლო ვინც არ შეიტანს, იმას წყალი მოესპობა.

აბონენტებისავე საყურადღებოდ აცხადებს გამგეობა, რომ, წყლის საზომის დროზედ გასასინჯად, კანტროლიორებს იქ, სადაც ასეთი საზომებია, დაუბრკოლებლივ უნდა შეეძლოთ შესვლა. (3—6.—3)

იოსებ გრიგოლის ძე კანჭიევი, გულითადის მწუხარებით აუწყებს რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თვისის საყვარელის მეუღლის

თინათინისა,

სთხოვს მობრძანდნენ დღეს, 4 თებერვალს, მარტყოფის ქუჩაზედ, საკუთარს სახლში, დილის 9 საათზედ, საიდგანაც მიცვალებულს გაასვენებენ წმ. ნინოს ეკკლესიაში წირვისა და პანაშვიდის გარდასახდელად. (1—28—1)

Дозволено цензурою. Тифлис, 3-го Февраля 1901 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხ.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე